საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოტიე

გოტიე (ლათ. Galterius), XII ს. მოღვაწე, ჯვაროსნული ომების მონაწილე. ანტიოქიის სამთავროს კანცლერი. ავტორი ქრონიკისა „ანტიოქიის ომები" (Bella Antiochena), რ-შიც გადმოცემულია ანტიოქიის სამთავროს ისტორია 1119–26. გ. საინტერესოდ მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის მეთაურობით ქართველთა გამარჯვებას დიდგორის ბრძოლაში 1121. მხოლოდ მის თხზულებაშია შემონახული იმ მოწოდების ტექსტი, რ-ითაც დავით IV-მ ბრძოლის დაწყების წინ მიმართა თავის მოლაშქრეებს.

ლიტ.: ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ზ., ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), პარიზი, 1929 (თბ., 1989); მ ე ს ხ ი ა შ., ძლევაჲ საკვირველი, თბ., 1972.

შ. ბადრიძე